საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-502

17/06/2020

ქ. თბილისი

,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „ხელედულა ენერჯის“ „ხელედულა 3 ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 ივნისის N 2-459 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 ივნისის N 2-459 ბრძანებით გაიცა ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „ხელედულა ენერჯის“ ხელედულა 3 ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების“ სკოპინგის დასკვნა.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „ხელედულა ენერჯის“ „ხელედულა 3 ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 ივნისის N2-459 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ხელედულა ენერჯის“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ხელედულა ენერჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლენტეხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12

კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი